


579 /
1983/2


ISSN 0132-2863
ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ԳՐԱԴԱՐԱՆ



1983 ՅԱՆՆՈՒ ՌԻ 5

მაისის სლამო

შხაპუნა წვიმამ გაცილო,
 მიდამოს პირი დაჰბანა,
 ხარობს და ყვავის მაისი,
 ჩემი სამშობლოს მთა-ბარად.
 გახედე, როგორ განათდა,
 ზეცაც ზეიმობს ამალამ;
 გამომით დასტუქს ქვემეზი,
 გაღმით მთა გრგვინავს ამაყად.
 მაღლა ღრუბლებში დაფრენენ
 სხივები ოქროს ისრებად.
 ფერადფერადი შუშუნა
 შადრევანივით იშლებო.
 თითქოს ვარსკვლავებს ფანტავენ
 გარს უჩინარი ხედები,
 ჩვენს თავზე გზები დახატეს
 სინათლის ცისარტყევლებით.
 სტუქს და ჰქუხს ზეცა ფერადი,
 ნაპერწკლებს შემოირიგებს,
 გინდა ოცნებით თან გაჰყვე
 ცაზე გავლებულ ბილიკებს.



მკვირვალ აბაშიძე

ციცინოს პარადი

შეხეთ, პატარა ციცინოს
 ცისფერი კაბა აცვია,
 მაისის დღით წამოხატა,
 დაიწყო გაწამაწია:
 პარადზე როგორ წავიგებს,
 ჯერ ხომ სკოლაშიც არ დადის!
 ადგა და თავის ეზოში
 თვითონ გამართა პარადი.
 მწკრივად დააწყო ტოლები—
 ნინო, ვაჟა და ციკა,
 პატარა დროშა წითელი
 ამაყად ააფრიადა.
 გაღიმებული გაუძღვა
 ნანას, კახას და ჟუჟუნას
 და სამაისო სიმღერა
 ხადისით დააგუგუნა.



მთგზაუბრება წარსულში

გ ა ო რ გ ი ე ვ ს კ ი — 1783

17.465

— იცი, ბოცო, რამდენჯერ მიფიქრია, რა კარგია, რომ მე და შენ მეგობრები ვართ. საერთოდ რა კარგია მეგობრობა, არა?

— როგორ გეტყობა, რომ გოგო ხარ, ზედმეტი ლაპარაკი გიყვარს...

— ნუ იცი, რა, ვგრე. მე მართლა გეუბნები!

— მერე რა?

— რა და, დედას და მამას რუსი მეგობრები რომ ჰყავთ, ალბათ ეგ არის, არა, ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობა?

— ეგეც არის და მეტიც. ზოგჯერ ერთი ქარხანა მე-

გობრობს მეორესთან, ზოგჯერ მთელი ქალაქი—მეორე ქალაქთან. საერთოდ ვართ მეგობრები. ვითომ არ იცი?

— ვიცი, მაგრამ მე ის მანინტერესებს, სულ, სულ თავიდან როგორ დაიწყო ეს მეგობრობა.

— ეგ მართლა საინტერესოა, მოდი, მანანა მასწავლებელს ვკითხოთ.

როცა მანანა მასწავლებელმა გაიგო, ბოცო და გვანცა ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის საწყისებით დაინტერესებულანო, უთხრა მათ:

— თბილისში ხალხთა მეგობრობის მუზეუმში ბევრი რამე შეიძლება გაიგოთ მაგის შესახებ. მოსკოვში კი არსებობს ჩვენნი ხალხების მეგობრობისადმი მიძღვნილი მემორიალური სახლი. იქ გამოუფენილი მასალებს დათვალე რეგება წარსულში მოგზაურობას უდრის. ოღონდ ეს მოგზაურობა გაგიძნელებდათ, თუ გამცილებელი არ გეყოლათ. მეგზურობას გაგიწევთ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი **შამში მშარაშიძე**.

მოსკოვში ბოლშაია გრუზინსკაის ქუჩაზე, №8 სახლში წარსულია დაბუდეებული.

აი 400 წლის წინანდელი საქართველო... ცალკე იყო მაშინ ქართლი, ცალკე — კახეთი, ცალკე — იმერეთი, ცალკე-ცალკე — სამთავროები: გურია, სამეგრელო, აფხაზეთი...

...ამიტომ იყო გაძნელებული თავგასული მეზობლების — ოსმალებისა და სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა. კიდევ ერთი მეზობელი ჰყავდა საქართველოს — რუსეთის მძლავრი ქრისტიანული სამეფო. და კახთა მეფემ ელჩები გაუგზავნა რუსთ ხელმწიფეს, ჯარი სთხოვა დასახმარებლად. პასუხად „წყალობის სიგელი“ მიიღო...

მაგრამ ამ დროს სპარსეთში ტახტზე ავიდა შაჰ აბას I — „ერანის ლომი“, ძლიერი და ცბიერი მმართველი, საქართველოს დაუძინებელი მტერი...

მან ჯერ მელაქობით, ტახტილი საეკნით მიიტყუა ქა-

რთველობა, მერე კი ბასრი ჭანგები გამოაჩინა — გაამამანაინებდა-გადარჭულუნდა დაუპირა ხალხს... ვისაც ვერ ერეოდა, ხასტიყად აწამებდა... ქვეყანას კი ცეცხლითა და მახვილით უტყვედა...

შაჰ აბასის სიკვდილის მერე-და სცადა კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა ისევ რუსეთისათვის მიეწვდინა ხმა...

რუსეთში, სამეფო კარზე თეიმურაზმა გააგზავნა თავისი შვილიშვილი, ნიკოლოზ დავითის ძე (შემდეგ — კახეთის მეფე ერეკლე I). აქ სწავლობდა ბატონიშვილი სახელმწიფოს მართვას, სიბლავდა გარეშემომყოფთ ნიჭით, უებრო ქართული ზრდილობით, მშვენიერებით...

მერე თეიმურაზ I თვითონ ჩავიდა რუსეთის სამეფო კარზე, და დიდი პატივითაც მიიღეს, მაგრამ რუსთ ხელმწიფე იმ დროს პოლონეთს და შვეიცაის ეომებოდა და ლაშქრით მიშველენაზე თეიმურაზს უარა უთხრა...



კ. მარქის სახ. ჯგ. სსრ
სახელმწიფო ტახტბედი
შამშიძე მ. შ. 1

...გავიდა ხანი... აი, არჩილ მეფე — მწიგნობარი, პოეტი, რაინდი — მოღალა გარეშე თუ შინაურ მტრებთან გაუთაქებელმა ბრძოლამ, და იგი ოჯახიანად რუსეთში გაემგზავრა. ხელმწიფე პეტრე I-მა მოსკოვის მახლობლად სოფელ ვსესხვატსკოეში დაასახლა ქართველი მეფე. არჩილის ოჯახის და ამაღის მოსკოვში დამკვიდრებით ჩაეყარა საფუძველი ქართველთა კოლონიას, რომელიც მერე და მერე უფრო გაფართოვდა...

არჩილმა მოსკოვში ქართული სტამბა გახსნა და ქართული წიგნების ბეჭდვა დაიწყო.

მეფის უფროსი ვაჟი, ალექსანდრე, პეტრეს I-ს ახლდა უცხოეთში — იქ შეისწავლა საარტილერიო საქმე, და მერე რუსეთის არტილერიის პირველ უფროსად — ფელდცეხმაისტრად დაინიშნა.

...1718 წელს, როცა არჩილ მეფე გარდაიცვალა, მისი საოჯახო შტოდან მხოლოდ მეფის ასული დარეჯანია იყო ცოცხალი. მოსკოველი ქართველების კოლონიას ახლა ის ედგა სათავეში და საქართველოს ელჩის როლშიც გამოდიოდა.

არჩილის სახელუღნი კი მოსკოვის დონის მონასტერში განისვენებდნენ... შემდეგ დონის მონასტერი იქცა რუსეთში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეთა საგანედ...

...საქართველო კი ისევ წინააღმდეგურად გადაარტყლდა და გალაშქნების პირას იდგა. ისევ ოსმალთა და სპარსთა მუქარა, „ღღეკიანობა“, შინაური აშლილობა...

და აი, რუსეთისაკენ გაემართა ქართლის მეფე ვახტანგ VI-ც. ვსესხვატსკოს, ან, როგორც ქართველები ეძახდნენ — „სვესენცკას“ მიწაზე მიეგება მას და მის ამაღს „მოსკოველ ქართველთა დედა“ — არჩილ მეფის ასული დარეჯანი. პეტროგრადში, სამეფო კარზე კი ბრძენი სიტყვაშეკერ ქართველ ხელმწიფეს მხოლოდ ქვრივმა დედოფალმა მიაგო პატივი — ცოცხალი აღარ იყო პეტრე დიდი.

ვახტანგე და მისი თანმხლებნი მოსკოვში პრენიაზე დაასახლეს...

ქართველთა დაბა — „გრუზინი“... აქ შემდეგ მოღვაწეობდა დიდი მეცნიერი-გეოგრაფოსი ვახუშტი ბატონიშვილი — აქ დახაზა და შექმნა მან საქართველოსა და კავკასიის პირველი რუკები.

აქ არის ახლა ქუჩები „ბოლშაია გრუზინსკაია“ და „შალაია გრუზინსკაია“... „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩაზე დგას ვახტანგ VI-ის უმცროსი ვაჟის, გიორგის აშენებული ეკლესია. მის მახლობლად, ქართველთა XVIII საუკუნის სახლში, რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ამსახველი მუზეუმი, „სვესენცკაში“ კი, დღევანდელი „სოკოლის“ შიდაბოგში — დარეჯან არჩილ მეფის ასულის აშენებული ეკლესია...

ვახტანგ VI-ის სიკვდილის შემდეგ შეიქმნა ქართველ მუსართა პოლი, რომელშიც მსახურობდა დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი...

...საქართველოში კი ისევ გრძელდებოდა ბრძოლა ოსმალთა, სპარსთა, ლეკთა წინააღმდეგ, 1744 წლიდან ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა დიდი ერეკლე II — შატრაქანი...

...და აი, მანაც რუსეთს მიმართა მეგობრობისა და მფარველობისათვის...

იდგა 1788 წელი...





როგორ ვახსენებ ხანძარს

მამა ჯოხაძე

თქვენ ალბათ ბევრჯერ აგიღიათ ხელში მუყაოს პანია კოლოფი. კოლოფზე შემინებული ბავშვის თვალბებია მიხატული, უკან მაღალი ცეცხლი ზობოქრობს, ხოლო იქვე ჯარისკაცივით გაბზევილი მახილის ნიშანი გვაერთილებს: ცეცხლთან თამაში სავსეა!

ჰო, ცეცხლთან თამაში მართლაც ძალიან საშიშია, მაგრამ იცით თუ არა, რომ მართლ ასანთის კოლოფში ჩამწყვდეული გოგირდისთავიანი პატარა კაცუნები ანდა გაბჭურაში უჩუმრად მიმავალი ცისფერი გაზის მდინარეები არ აჩენენ ხანძარს? თუმცა, მოდი, ყველაფერს თავიდან მოვყვები... თბილისის ერთ ეზოში, აი, დაახლოებით ისეთ ეზოში, როგორშიაც თქვენ ცხოვრობთ, ერთ მშვენიერ დღეს ბავშვებმა გადაწყვიტეს დაღვინასწული გაემართათ. სიტყვა საქმედ იქცა:

კორპუსიდან კორპუსებზე, აივნიდან აივნებზე გადაიჭიმა ნაირფერი ქალაღდის გრენილა თოკები. ლურჯ სივრცეში აფარფატუნენ ქალაღდის გიგანტი მარაოები, შუქნიშნებით ფერადი ფარნები, ბაბუაწვერასავით მსუბუქი საპაერო ბუშტები. სიოს ოდნავ წამოქროლებზე კლავიმებივით ამოძრავდნენ ერთმანეთზე მიჯრილი პანია თეთრი ალმები.

ანრიოდნენ ქალაღდის წეროები, სასაცილოდ გადაბმული „მატიროშკები“, თმაგანეწლი, მოკლესარული ჯამბაზები... აი, სურათებიც, ნაცრისფერი კედლებზე მიხატული

სურათები. ვის და რას არ შეხვდებით აქ: აგერ მშვიდად მოლივივე ზღვაში ნაფოტებივით ატივტივებულ ნავეს ქათქათა იალქნები გაუშლიათ და დროშებებით ატკაცუნებენ; აგერ, თეთრნიღბინ არლექინს ლაპალუპით ჩამოსდის შავი ცრემლები, მხარზე უზარმაზარი ფუნჯი გაუდევს, მე სიყვარულის გადაკარგულ ფერებს დავეძებ, თქვენთვის არა მცალიანო. აგერ, შუაცეცხლზე დაკიდული კარდალა, რომელშიც დულს და გამოდულს ათლიფინებულ კეთილი ბულიონი. აგერ ფიფქებიც, მთელი ღამე თქვენთვის რომ მოქრიან უშორესი ციდან და მინაზე სასწაულებს ახდენენ. სასწაულია, აბა რა! — გაიდვიძებ დილით და ყველაფერი თეთრად ქათქათებს — ხეები, შადრევნები, სახურავები... აი, ბაჭებიც, გუნდებივით შეკრული ფაფუკი ბაჭები, აქვე — მინდვრისფერი კანარის ჩიტები, ბოლოქანქარები... აკვარიუმები, რომელთა ფსკერიც ზღვაზე მოგროვილი კენჭებით არის დაფარული და ოქროს თევზებს ასე ჰგონიათ, თბილ ყურეში დაცურავთ... ფერად-ფერადი კარუსელები, თავბრუდამხვევი სისწრაფით რომ მიგვაქროლებენ სივრცეში და ცოტათი შემინებულებს, ცოტათი პირდაღებულებს ჰაერის უჩინარ ტალღებს გვაყლაპებენ. რა არ დაუხატავთ ჭკვიან გოგო-ბიჭებს, ხვალისათვის ემზადებიან... კარდაკარ დაქაროლებენ მოსწევებ ზართებს... ხვალ მხიარული, საგაზაფხულო მეჯლისი გაიმართება...

ბინდდება. სარკმელებიდან იფრქვევა ძილისპირული პანგები, ხვალმდელი დღის მოლოდინში ჩასძინებიათ მთელი დღის ნაჯაფარ ბავშვებს და ფერადი სიხმრებით ამოკლებენ ღამის ვეება ფარდას.

თუმცა რუ! ეს რა ისმის ღამის სიჩუმეში?! მგონი ვილაც ჭირვეულობს: მოდი, შევიხედოთ. გავიგოთ, რა ხდება!

დედა და მამა სტუმრად წასულან, წასვლისას უთხოვიათ შვილისთვის, — აბა, შენი იცი, ბებიკოს ყველაფერი დაუჯერო. ეს კი-

დევ, იმის ნაცვლად, თხოვნას ასრულებდეს, გაჯიუტებულა თეთრი ჯორივით და ბებიას აჯაჯრებს: „პირს არ დავაკარებ შენს დასხმულ რძეს, არ ჩაწვევები შენს დაგებულ ლოგინში, არ მოვიმინ შენს იავნანას, არ დავიძინებ, შენს ჯინაზე“... რალაც კიდევ უნდა თქვას გოგონამ, მაგრამ ვაი! ეს რა ხდება?! სიტყვები აღარ ემორჩილებიან, უკან-უკან იხევენ, ერთმანეთში იბურღებიან, სადაღაც ბრუნდებიან... წვალბის გოგონა, თავისკენ ექაჩება სიტყვებს, ის კი არა და ბოდისის მოსახდელადაც მზადაა, მაგრამ თქვეც არ მომიკვდეთ, ველარაფერს აწყობს მათთან. ხელიხელჩაკიდებული ეს ორი სიტყვა მაინც სულ გადაიირია... თავქუდმოგლეჯილი გარბიან სადაღაც... მოიცა, გაეკიდოს, კარგად ვერც კი არჩევს რომელი სიტყვებია. აი, დაენია კიდევ, საცაა ხელსაც სტაცებს ამ თავხედებს, მაგრამ სიტყვებმა „შენს ჯინაზე“ თვალისდახამხამებაში ისკუპეს, გოგონას ჯიბრზე აივნის მოაჯირს შეახტნენ, და ჰოი, საოცრებავ! სწორედ ამ დროს მოხდა, რაც მოხდა... სანამ აივნიდან ეზოში ისკუპებდნენ, სიტყვები — „შენს“ და „ჯინაზე“ წელში გაიმართნენ, კი არ გაიმართნენ, ისე გაიზინიქენ, თითქოს იზმორებიანო, წაგრძელდნენ, წაგრძელდნენ, ერთხელ კიდევ მოხედეს გოგონას, ცეცხლის ენები გამოუყვეს და, ჰაიდააა, ყირამალა გადაეშენენ.

თითქოს ჩაძინებული ნიავიც ამით ელოდაო, წამოხტა და შემოეგებათ, მერე თავის ნებაზე მოხვია ხელი ცეცხლის ალებად ქცეულ სიტყვებს და სულ წწვეარწვეით ჩამოატარა ეზოში. რას არ წამოედევნენ ალქაჯები. ჯერ იყო და ქალაღის თოკებზე ვერ დაიცვეს წონასწორობა და იალქნებზე მოადინეს ტყაპანი. აფურფუცდნენ, ატკაცუნდნენ აფრები, თვალისდახამხამებაში მიატოვეს საცოდავად ატივტივებული ნაფოტა ნავები. ამასობაში, აღმოდებულმა ქალაღის თოკებმაც საბოლოოდ აიშვეს თავი და ნიავის ქროლვამ ახლა ისინი აიყოლია. ანთებული ნაპერწკლები ჭორფლებივით მოედვენ მთელს ეზოს, ერთმანეთის მიყოლებით ზედღიხედ ბათქაბუთით სკდებოდნენ საჰაერო ბუშტივით, თავზე ცეცხლმოკიდებული ჯამბაზებიც გამწარებით იქნევდნენ ფეხებს და სანამ საბოლოოდ დაიწვებოდნენ, თავსაფრიალი „მატრიოსკებისაკენ“ მიფარფატებდნენ საშველად. აბა რა შეეძლოთ ქალაღის ქალბატონებს, იკრუნჩხებოდნენ, წელში წყდებოდნენ, ფერფლად ქცეულნი ნელნელა მიწას უბრუნდებოდნენ. საცოდავად წიოდნენ კა-



ნარის ჩიტები, ბოლოქანქარები კი ისე მოქვამდნენ, თითქოს ეზოში უკვე ხანძრად აბობოქრებული ცეცხლის ალები მხოლოდ მათ ბოლოებზე აპირებდა შეჩერებას.

აივნის რიკულეებში თავგაყოფილი გოგონა ყვირილით მოუხმობდა მშველელს. ეს რა უბედურება დაატრიალდა მის თავს, რას იფიქრებდა, თუ ასე საშინლად გაბოროტდებოდნენ უზნეო სიტყვები, ასე აინწყვეტდნენ...



ხორთუმებიდან უწყვეტ ნაკადად მოედინება წყალი, რკინის გრძელ კიბეებზე უსწრაფესად არბი-ჩამორბიან ხაკისფერ სამოსში გადაცმული მებანძრეები... თანდათან ჩაქსრა, ჩაიცრიტა ვეება კოცონი, თითქოს ვახურებულ ნაღვერდალს წყალი გადაასხესო, ისე შიშინებენ, სულს ღვაგვენ ხანძრის კერები. ჩაშავდა, ჩამყვდროვდა მთელი ეზო. გაქრნენ, გაიფანტნენ ულამაზესი ფერები, ნაცარტუტად იქცა ხვალისდელი დღის მოლოდინი, ამდენი შრომა, ამდენი სიხარული, ამხელა სილამაზე...

„კი მაგრამ, მაინც როგორ გაჩნდა ხანძარი?“ — ერთმანეთს ეკითხებიან აივნებზე გადმომდგარი გოგონებული უფროსები. ამის გამკვინვე გოგონას ხარავს და ტანში აურთოლებს. არა, სენი მაინც ვერაფრით დაიჯერებენ, რომ მის მიერ ნათქვამმა უზრდელმა სიტყვებმა ამხელა უბედურება დაატრიალეს ეზოში. მაგრამ მან ხომ დაინახა, მან ხომ თავისი თვალით დაინახა მისი ბავიდან დაუფიქრებლად გადმოსროლილი სიტყვები... მთავარი მაინც ისაა, რომ მეგულისის გამო უთენია წამოყრილ მის მეგობრებს აღარაფერი დახვდებოთ ეზოში...

როგორ უნდა უთხრას, როგორ უნდა აუხსნას ეს საშინელება? გაუგებენ? ახატიებენ? იქნება ამათავ დაუმალოს ეს შემთხვევა? მაგრამ ეს ხომ ახალი, მეორე დანაშაული იქნება?

ფიქრობს, წვალობს თავზე საბანაწაფარებული გოგონა, არა და არ ეკარება თვალზე რული. არა უშავს, როგორმე გადაიტანს ამ სირცხვილს, როგორმე მოერევა საკუთარ თავს და უზომოდ შეწუხებულ, დადარდიანებულ მეგობრებს ყველაფერს მოუყვება. უსათუოდ მოუყვება, თორემ ხომ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს სხვა რომელიმე გოგონიჭის ენისწვერსაც მოადგენს სიტყვები „შენს ჯინაზე“, ანდა სულაც სხვა სიტყვები... სამწუხაროდ, ასეთი უზნეო სიტყვები მრავლად არიან და უსაქმრობის გამო ხშირად ქუჩა-ქუჩა დაეხტებიან. ვინ იცის, იქნებ ჩაფიქრდნენ ამ უცნაური ამბის გამკვინვე ბავშვები და დღეიდან მაინც აღარასოდეს გაიკარონ ბოროტი სიტყვები... „ვინ იცის, იქნებ მაპატიონ კიდევ...“ გოგონამ სარკმელს გახედა და იხატრა, ნეტა თოვლი მაინც მოვიდოდა, რომ თეთრად გადაფაროს ეს გამურული ეზო, მაგრამ მაშინვე სუედიანად გაახსენდა, რომ რა ხანია მიიწურა ზამთარი, შუაგული გაზაფხულია და... ისევ გააპარა სარკმლისკენ მხერა. თენდებოდა...

ცეცხლად ქცეული სიტყვები კი ისევ გაგივებით დაქროდნენ აღმა-დაღმა და სულ ვერ ამჩნევდნენ გოგონას მდულარე ცრემლებს... ბებოს კი, რა შექმლო ბებოს! ამ აბო-ბოქრებულ სტიქიონს ერთი ვედრო წყლით როგორ მოერეოდა...

აი, გაისმა კიდევ საყვირების საგანგაშო ხმები. ეზოში ზედიზედ შემოდიან ცეცხლისფერი სახანძრო მანქანები, მათი რეზინის

შხატარი ბისო სიდაზმლი



ახთანადილ გუჩხენიძე

გელას თევზი

გელამ თევზი დაიჭირა,
გაიხარა პატარამ.
სანამ სახლში მიიტანდა,
აღმა-დაღმა ატარა.
— ეს რა ღოქო გაებოა,—
მთელ ქვეყანას მოჰფინა...
რისი ღოქო,
გელას თევზი
თურმე ღორჯო ყოფილა!

დაბადების დღე

ჩვენი სახლის კარი
ღღეს იქნება ღია,
რადგან დღეა-გოგოს
დაბადების დღეა.
რატომ არ მოდიხართ
თვა, დია, გია?
— საჩუქარზე ვფიქრობთ.
— საფიქრადი კია?..
რასაც გურით უძღვნით,
საჩუქარი ჰქვია:
ერთი კარგი წიგნი,
ერთი კონა ია!


ნოდარ შამანაძე
ნორჩი აქვინისტი

ქარა, ჩაფქ, დაცხრი,
წუ ხარ ასე მკაცრი;
წინ წუ მულობები,
მწვერვალს ვიჭრობ კაცი!

ბიჭები

ბუბიასთან ცოური
მირბის გუშღი ღლოური,
— აი ჩემი ნობათი:
ხუთიანი მოგართვი!





ბიოგრაფი უმთავრესი

ტფტფი

როდი აცდენს გაკვეთილებს,
სხვა რამ არის საწყენი, —
საგარცხელი თავზე აქვს და
დადის დაუვარცხნელი.

ქიტაჭი

ქირაფი გამწარებული
ღვარღვარა ცრემლებს ისვრის,
— ვაი, სირცხვილი! არ გავხდი
დღეს ერთიანის ღირსი?!
გარეთ თავს ველარ გამოვყაფ,
თანაც ამსიგრძე კისრიო!

შველი

მერხზე რომ ზის, თქვენ გგონიათ
გაკვეთილებს ისმენს?
მწვანე ბუჩქი ახსენდება
იყურება ტყისკენ...

აქაჲი ზალოზანი
უშტლულა ბიჭი
ჩიტი ჩიორა ჩიოდა,
ზე აღარ არის, დაჯგველო,
ქალო არ არის, დაფურინდე,
ბუე აღარ არის, გავთბულო.
უურღულა ბიჭო, გაფთბულო.
შაღლობეს ბიჭო, რას შერი
მეც ვიყო უშმაგობები
ქმევსაჲ მთისა და ბარისა.
ჩიტი ჩიორა ჩიოდა,
მობუბულიყო, სციოდა...

უთუოდ გაკვირნათ მწერალი დოდო ვადაჭკორია, რომლის სახევეო მოთხრობებს ამ 80 წლის წინათაც კითხულობდნენ თქვენი დედები და მამები — მაშინდელი პატარები. პირველი მოთხრობა დოდო ვადაჭკორიამ 1958 წელს დაბეჭდა ჩვენს უფროსეულ მას შემდეგ იგი „დილის“ ზნორი სტუმარია. ძალიან მოეწონათ მკითხველებს, მაგალითად, მოთხრობა „ფაჩუჩები“. მოთხრობების ბევრი კრებული გამოსცა სამწერლო მოღვაწეობის მანძილზე დოდო ვადაჭკორიამ. ესენია: „უნდაური დედობილი“, „გაზაფხული, მზე და სიყვარული“, „თეთრი კენჭი“, „გოლიათი კაკლი“, „ბროლის ციგა“, „ჩემი სოფელი“, „კენჭა ტუბილია“ და სხვ. დააკვირდით, რა მშვენიერი სახელები ჰქვია ამ კრებულებს. წაითხავთ მათ და პოეტურობით, სინაღისით და სიყვარულით სავსე სამყაროში მოხვდებით.

დოდო ვადაჭკორია აყვარებს ნორჩებს სამშობლოს, საქართველოს ბუნებას, ახწყვლის — იყვანენ გამრქენი ოჯახში და ბეჭითები სკოლაში.

ახლანდელ მწერალ დოდო ვადაჭკორიას 60 წელი შეუბრუნდა. მივლუცოთ მას დაბადების დღე. ვუსურვოთ ბევრი ახალი კარგი ნაწარმოები დაეწეროს ბავშვებისათვის, და წინასწარ მადლობა ვუთხრათ იმ სინაღლისთვის, რომელსაც მისი მოთხრობები მოგვანიჭებს.



სუფთა წერა

უპ, რა დილა გათენდა? მზიანი, ლამაზი, თბილი.

დედას ახალი, ქათქათა საყელო და სამაჯურები მიეკერებინა ფორმაზე. ეკას წითელი ფეხსაცმელები კი ისე კრიალებდნენ, თითქოს წყალში დგანანო. ეკამ კიკინებში ბაფთები ჩაიწინა, სარკეს ერთხელ კიდევ აუარჩაუარა და დიდი ჩანთით ხელში ნელი ნაბიჯით წავიდა სკოლისკენ. ნელი ნაბიჯით კი მიდიოდა, მაგრამ გული ჩიტვით უფროსიანალებდა. ხუმრობაა, — ფიქრობდა, — დღეს სუფთა წერა გვაქვს. ეს სუფთა წერა რატომ არ მეხერხება? — ვიცი. თქვენ გგონიათ არ ვცდილობ? — ვიდაცასთან თავს იმართლებდა პატარა ქალი. — მაგრამ ისეთი ცუდი კალამი მხვდება მუდამ, რომ პასტა თეთრონილს ხანავს და ისედაც ულამაზოდ გამოყვანილ ასოებს სულ მიიხანინებებს. ჯანდაბა ამ წინსაფრის ფარფლებს, წამოედებიან სველ ნაწერს და მთელ ფურცელს მითხუნიან... ხან იდაყვს ჩავანებ ხოლმე ნაწერში, რა ვიცი, როგორ ხდება. ძალიან ვწუხვარ, ვცდილობ კიდევ, მაგრამ მაინც არაფერი გამომდის! დღეს, რომ მოვეკვდე, მაინც დაგწერ ძალიან სუფთად და ლამაზად. — გადაწყვიტა ეკამ.

კლასში, მერხზე, ნიკა იჯდა. რვეულის ფურცლისაგან ჩიტს აკეთებდა. დედა გაეკრიალებინა, ყვავილები მოერწყა, საერთოდ ყველაფერი წესრიგში მოეყვანა.

— მორიგე ხარ? — შეეკითხა ეკა, თუმცა ისედაც კარგად იცოდა, რომ ნიკა მორიგე იყო. მაგრამ ლაპარაკი უნდოდა, იქნებ დარდი გადაწყვიტოს.

ნიკამ თავი დაუქნია, ხელი მაღლა ასწია. ქალადღის ჩიტი მოიმარჯვა და გაუშვა. ჩიტი ცოცხალივით აიძარტა და გაფრინდა, მერე რამდენიმე მერხს გადაუფრინა და მასწავლებლის მაგიდას ცხვირით დაერჭო.

„ნუთუ სუფთა წერის არ ეშინიაო?“ — გაიფრთხილა ეკამ, ფანჯრის რაფას მიეყრდნო და ეზოში გადაიხედა.

ეზოში ბავშვები ირეოდნენ. ეკას მოეჩვენა, რომ ყველას უდარდელი სახე ჰქონდა, და გაუკვირდა. ნოლკლასელებს მასწავლებელი მწკრივში დადგომას შველიდა. ერთმა ბიჭმა ბურთს მძლავრად დაარტყა ფეხი. „ალბათ მიათუვლასელია, ისეთი მაღალია“ — გაიფიქრა ეკამ. ბურთი ძალიან მაღლა ავარდა, დიდხანს არ დაბრუნებულა, ასე მოეჩვენა ეკას, თუ მობეზრდა ბურთის ლოდინი, არ ვიცი. ორი გოგონა მაღლა იცქირებოდა და ვიდაცას ხელს უქნევდა...

უეცრად ელექტროზარი ჩართეს, ეკა შეკრთა და არ ესაიბრუნა ზარის ზღრიალი, მაგრამ იგრძნო, როგორ დაიარა ზარის ხმა სკოლის ეზო და შენობის გრძელი დერეფნები.

სკლასო ოთახი სულ მაღე აივსო. ატყდა მერხების ფრთების ბრაზუნი, სიმღერა. ზოგი ხმამაღლა იმეორებდა დექსს. ეკა ახლა ფანჯრისაკენ ზურგიით იდგა და ფიქრობდა, რატომ არაფის არ ეტყობა ლეღვა, ნუთუ მართლმეშინიაო?

კარი ფართოდ გაიღო და მასწავლებელი შემოვიდა.

მორიგეებმა სწრაფად ჩამოარიგეს რვეულები. აშრიალად ფურცლები და მერე



ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ისეთი სირხევი რომ იტყვიან, ბუზის გაფრენას გაიგონებო. ეკამ ინატრა, ახლა ნეტა ბუზი შემოფრინდეს, ვითომ მართლა გავიგონებ ბზუილსო?

მერე მიიხედ-მოიხედა. უკვე ყველას გადაეშალა რვეული და მასწავლებელს შეპყურებდნენ. თვითონაც სასწრაფოდ გადაფურცლა რვეული, თან თვალი აარიდა ულამაზოდ და უსუფთაოდ დაწერილ გვერდებს. მერე სუფთა, კრიალა ფურცელს ხელის გული ალერსით ჩამოუსვა.

„როგორი სუფთაა, რა თეთრია. ეს იასამნისფერი ხაზებიც როგორ უხდება, ცოდო არ არის ამის გათხუპნა და დაჯღაბნა?!“

ერთიც ვნახოთ, მასწავლებელმა ისეთ რამ გამოაცხადა, რაც ჯერ არც ეკას დარც მის ამხანაგებს არასოდეს არ გაუგონიათ!

— ბავშვებო, გაძლევთ სრულ თავისუფლებას. რაზეც გინდათ, იმაზე წერეთ. მაგ რამ, წერას რომ მიორჩებით, თქვენი ნამსწრები თქვენ თვითონ შეამოწმეთ და საკუთარ თავს ნიშანიც დაუწერეთ!

კლასში ჩურჩული ატყდა, მერე ისევ ჩამდნენ. ეკა რატომღაც კარგ გუნებაზე დადგა. „ლამაზად დავწერ და ჩემს თავს რასაკვირველია, ხუთიანსაც დავუწერ, მაგრამ რაზე უნდა დავწეროო?“ — ფიქრობდა.

ბავშვები ზოგნი ჭერში იცქირებოდნენ ზოგნი თვალებს ისრესდნენ, რვეულის ცარიელ გვერდს დაპყურებდნენ. უეცრად, თითქოს მოილაპარაკეს, ყველა ერთად წამოიგდა, „რაზე უნდა ვწეროთო? — ჰკითხეს მასწავლებელს.

— რაზეც გინდათ — დედაზე, მამაზე, ბაბუაზე, დიდედაზე, თქვენს საყვარელ თოჯინებზე, ბურთზე, ფერად-ფერად ყვავილებზე, ჭიკჭიკა ჩიტებზე, ჩვენს ლამაზ სამშობლოზე, იმ წითელ ვარსკვლავებზე, მკერდზე რომ გიკეთიათ, თქვენს ოცნებებზე; ვინ გინდათ გამოხვიდეთ, და რა უფრო გიყვართ! — უპასუხა მასწავლებელმა. მერე ალერსით, ისე ჩაკეთხა მთელ კლასს თითქოს ერთ ბავშვს ეუბნებო, — გაიგეთ? ერთხანს ჩაყურდა კლასი. მერე კი ნელნელა აშრილდნენ ფურცლები... ეკამ ყურით ცქციტა — „ნეტავი, კარგად რომ მოვუსმინო, გავიგებ, რაზე წერენ ჩემი ამხანაგებიო?“

ბოლოს ეკას კალამიც შეუდგა საქმეს. პატრონს აღარც ეკითხებოდა — გარბოდა და გამორბოდა იასამნისფერ ხაზებზე. ეკამ ამოსუნთქვაც ვერ მოასწრო, ისე სწრაფად აივსო რვეულის გვერდი. საკუთარი თავისა უკვირდა. სხვა რალა დარჩენოდა, აიღო და წერტილი დასვა. მერე ერთხელ კიდევ მოასწრო სარკმელში გაჭყეცვა და ნანერს გულდასმით დაუნყო კითხვა. დრო და დრო მასწავლებელს აპხედავდა, მერე ისევ კითხვაში გაერთობოდა.

„ეს რა თქვა მასწავლებელმა, საკუთარი ნაწერი თვითონ გაასწორეთ და შეაფასეთო?“ ისევ დაფიქრდა, მაგრამ უეცრად რაღაც გადაწყვიტა და ნანერს სასწრაფოდ მიანერა ბოლოში:

სუფთად წერე, ეკა!

დოღო ვადაპორია



მეგობრული

რამდენაირი ჟურნალი და გაზეთი გამოდის დღეს საქართველოში, ვინ მოთვლის! ყველა ადამიანს აქვს თავისთვის საგულისხმო საკითხავი — მუშას და გლეხს, ექიმს და ხელოვანს, მასწავლებელს და მოსწავლეს... ყველას! არსებობს მხატვრული ჟურნალებიც, და აქ დაბეჭდილი მოთხრობები, ლექსები, ნარკვევები, წერილები უკვე ბევრი სხვადასხვა სპეციალისის ადამიანისთვის, ხნიერისთვის თუ ახალგაზრდისთვის არის საინტერესო... მათ უფროსი ასაკის ბავშვებზეც — „პიონერის“ მკითხველებზეც კი კითხულობენ ზოგჯერ. პატარებს „დილა“ აქვთ და კიდევ — სულ პანაწინა წიგნაკი „ი ი“ ყველაზე უმცროსებისთვის.

წინათ ასე არ იყო. სულ პირველი „ყრმათათვის საკითხავი წიგნი“ საქართველოში 1881 წელს გამოიცა. ეს იყო „წყარო“ საზოგადო მოღვაწის ანთიმოზ ჯუღელის რედაქციით.

„ზამთარი“, „გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“ — ასე ერქვა „წყაროს“ ცალკეულ ნომრებს. ყოველი სეზონის შესაფერისი ლექსით ეხმარებოდა მამინდელ პატარებს პოეტი რაფიელ ერისთავი:

ეს რა-ჩიტი მოფრენილა
საიდან და სადაური,
თეთრგულა და ყელწითელა
შავზურგა და უცნაური...

„წყაროში“ დაბეჭდილი მოთხრობების გმირები —

მდიდრის გოგონა ოლა თუ ღარიბი თედო ცდილობდნენ გაერკვიათ სიმდიდრისა და სიღარიბის მიზეზი — ეს მწვავე საფიქრალი იყო ყველა წესიერი ადამიანისათვის, და ბავშვებზეც სიკეთეზე და ბოროტებაზე ფიქრობდნენ...

სიკეთე და ბოროტება უპირისპირდება ერთმანეთს ზღაპარში მზეთუნახავისა და თორმეტი თვის შესახებ. ეს არის ამბავი იმაზე, თუ როგორ გააზაფხუნეს დედინაცვალმა და მისმა ჭირვეულმა ქალიშვილმა სოფიომ ობოლი გოგონა მარიამი ზამთარში ტყეში ყვავილების მოსატანად. მუხლამდე თოვლში მიდიოდა გოგონა ალაბეზზე და უცებ ცეცხლის ალი დაინახა. იქით გაეშურა. ცეცხლთან თორმეტი კაცი დაინახა — ეს ნელინადის თორმეტი თვე იყო. ყველაზე უფროსი, თეთრწვერა მოხუცი ტახტზე იჯდა. მივიდა იმათთან ობოლი, მიესალმა და მოკრძალებით სთხოვა, ცეცხლთან მიიმხვით, გაეთბო. როცა მისი გასაჭირის ამბავი გამოიკი-

თხეს, თეთრწვერა ტახტიდან ჩამოვიდა, ყავარჯენი მარტს გადასცა და უთხრა: ძმაო, მარტო, მიილე მბრძანებლობაო! მარტმა ყავარჯენის მოქნევით თოვლი გაადნო და გაზაფხულის პირველი ყვავილები დააკრეფინა გოგონას...

...მერე ბოროტმა სოფიომ მარწყვი მოინდომა... მერე ქლიაფი... ბოლოს თვითონ გადაწყვიტა წასულიყო ტყეში... უტიფრად მიაღწა ცეცხლს გასათბობად, უკმენად გაეპასუხა ცეცხლთან მჯდომთ... და მამონი იანვარმა გამოიჩინა თავისი ძალა — სუსხიანი ქარი და ბუჩქი დააყენა, გზა დაუბნია სოფიოს, მერე მის უკეთურ დედასაც, და თოვლში ჩაღუპა ისინი...

„წყაროში“ ერთი ძალიან საინტერესო ნამდვილი ამბავია მოთხრობილი. სოფლის განაპირას თურმე ოთხი გოგონა მშობრ მგელს გადაეყარა. მგელმა მოიტაცა ერთი მათგანი. მგერამ 11 წლის



თეკლე არ დაიბნა, ყველაზე უფროსს — ნატას უთხრა, სოფელში გაიქცევი და მაშველი მოიყვანე ვინმეო; თვითონ კი ჯოხის ქნევით ცდილობდა გაფურთხო და თავის ამხანაგოსთვის მიეცილებინა მგელი. კიდეც კარგი, მოუსწრეს სოფლებებმა და ბავშვები გადაარჩინეს. მას შემდეგ თეკლე ხშირად ეთიზმრებოდა, როგორ აგერბდა ვინმეს ან ცოფიან ძაღლს, ან სხვა რამე სამინელ მხეცს...

ერთხელ მეზობლის სახლიდან ბავშვის მწარე ტირილი შემოესმა, გაიქცა და დაინახა, რომ მამა სახრით სცემდა პატარა ბიჭს. თეკლე ეცა ხელში კაცს, სახრი გამოსტაცა და ყვირილი მორთო, არიქა, გვიშველეთ, პირლია მგელმა შეგვჭამაო.

აი, როგორი გულმტკივნეული და თან გაბედული გოგონა ცხოვრობდა თურმე ერთ დროს იმერეთის ერთ პატარა სოფელში — ცხენთა-როში.

„წყაროში“ იბეჭდებოდა პატარ-პატარა მოთხრობები ცხოველების ჭკუიანობაზე. აი, ვთქვათ, ასეთი: ერთ კაცს თურმე ისეთი ცხენი ჰყავდა, სადაც გაჭირვებულს ან მათხოვარს დაინახავდა, გაჩერ-

დებოდა და მანამდე არ მოიცივლიდა ფეხს, ვიდრე მისი პატრონი მოწყალებას არ გაიღებდა. ანდა კიდეც: ერთ უსინათლო დედაბერს ისეთი ბატი ჰყავდა, რომ კაბის კალთაზე ნისკარტით ექაჩებოდა და გზას უტყუარად უჩვენებდა.

სხვადასხვა ცხოველის თუ მწერის ცხოვრების ნირზე, მათ მარგებლობაზე თუ მავნეობაზეც კითხულობდნენ „წყაროში“ პატარა მკითხველები.

ახლა კი აი, ზოგი რამე „წყაროდან“...

**რ ა ფ ი ე ლ ე რ ი ს თ ა ვ ი .
გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი**

თოვლი ატირდა ლანქერად, პაპას გაუთბა ძვლებია, ქვეყანამ გამოიღვიძა, სიცოცხლე მოსწყურებია, წეროებს ვხედავ ცაშია, დამწყრივდნენ, როგორც

ისარი, მიფრინვენ ჩრდილოეთისკენ, იმათი წესი ის არი...

აგერ მერცხალმაც ჰაერში რა ცელქად შეინავარდა, იამაც სუნი მოვფინა, რა ზამთარს სული გაჰვარდა. სუყველა ხარობს და გალობს, სირი იმზადებს ბუღესა, სახნის-საკვეთსა სწვერავენ, ბოსტანს უვლებენ ზღუდესა,



ბუნებაც ჰყავის მრავალფერად და იმოსება მწვანითა, გასნიეთ ბიჭო, მინდორში და მეც თან წამოყვანეთა.

ხალხური ლექსი:

ხარო, დადგა მისიო, გასუქდი და გაივისო, წყალია და ბალახიო, გაძეხი და გალადლიო.

სახუმარო: მართალია?

სანთლის გუთანს გავაკეთებ, შიგ შევბამ უღილ დევსა, ზღვაში ვხნავ და ზღვაში

ვთესავ, ხმელზე ვინადირებ თევზსა, ყინულზე კალოს გავლენავ, მორევში გადავყრი ბუესა, ჭინჭველებს გოდორს

ავციდებ, კამეჩებს შევაჭმევ თხლესა.

ამოცანა: სამ ძმას თითო და ჰყავთ. სულ რამდენი არიან?





ჩემო მკითხველებო, თქვენოდნა რომ ვიყავი, დღე და ღამე შორეულ ქვეყნებში, ხიფათით აღსავსე მოგზაურობებზე ვიცნე-ბობდი. ვინ იცის, ოცნებაში რამდენჯერ გადამიცურავს ოკეანე აფრთხილებული კარაველებით თუ პატარა ტივით. შტეფან ცვივიის „მადეანანი“ და ტურ ჰეიერდალის „მოგზაურობა „კონ-ტიკით“ ჩემი უსაცვარდელი სწავნები იყო. მერე კლასში ვიყავი, როცა პირველად ვწავი ზღვა: პიონერთა სასახლიდან ექსკურსიაზე წაგვიყვანეს ფოთში. მაშინ


ვწავი პირველი ნამდვილი გემიც. „შოთა რუსთაველი“ ერქვა. ზღვასთან იმ პირველი შეხვედრისას მიღებული შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ საბოლოოდ გადავწყვიტე, მუზღაფორი გავმხდარიყავი. ჩემი ამ ოცნების განხორციელებას მთელი თხუთმეტჯი წელიწადი დასჭირდა. დაემათავრე სკოლა, მერე — უნივერსიტეტი, კურნალისტად ვმუშაობდი გაზეთებში, კურნალეებში, ტელევიზიაში, მოგზაურობის სოფარული კოპარ გამწელებია: ფეხით, ცხენითა და ველოსიპედით მოვიარე მთელი საქართველო, შორეული ქვეყნებიც მოვიწახუდე და ბოლოს მუზღაფორიც გავეხდი.

ამბირიდან ხშირად შევხვდებით ერთმანეთს. ჩემი გემი გზას უჩვენებს თქვენს მფრინავ ხალიჩას და თვალნივ გადაუშლის შორეულ ქვეყნებს, ზღვებსა და ოკეანეებს, პანანა კუნძულებსა და ვეება კონტინენტებს. დადრწმუნებული ვარ, რომ თქვენს შორისაც არიან გოგო-ბიჭები, რომლებიც შორეულ ქვეყნებზე, ხიფათით აღსავსე მოგზაურობებზე ოცნებობენ...

სვამჭურღი

ათასნარიი ხიდი არსებობს მსოფლიოში: დიდი და პატარა, ხისა თუ რკინა-ბეტონის, დაკიდული თუ

გასახსნელი... მაგრამ სტამბულის ხიდი შაინც სხვაა. იგი ქალაქის ორ უბანს აწმინდარისა თუ სრუტის



პაატა ნაცველიძეილი ფოტო ავტორისა

ორ ნაშირს უკ არა, ორ კონტინენტს — ევროპასა და აზიას აერთებს ერთმანეთთან. ეს ხიდი 1973 წლის ოქტომბერში გაიხსნა, თურქეთის რესპუბლიკის წმე წლისთავის ზეიმის დღეებში. სტამბული კი, ზოგმა აღმათ იგით კიდეც, თურქეთში მდებარეობს და ერთხანს თურქეთის დედაქალაქიც იყო. დიდი ხნის წინათ, შუასაუკუნეებში, სტამბულს ჯერ ბიზანტიონი, შემდეგ კი კონსტანტინეპოლი ერქვა და მთელი ქრისტიანობის სამყაროს ცენტრად ითვლებოდა... მაგრამ დაუბრუნებულ ხიდს: სტამბულის ხიდის სიგრძე კილომეტრწინავევარია, ამ მხრივ მას მეოთხე ადგილი უყავია მსოფლიოში და პირ-

ხიდი


ველი — ევროპაშიე სიგანე კი 33 მეტრია, რაც უზრუნველყოფს მუფრთხებულ საავტომობილო მოძრაობას ორივე მიმართულებით. ხიდის საშუალო სიმაღლე წყლის დონიდან 64 მეტრია და მის ქვეშ თავისუფლად მუფლიათ გავლა ყველაზე დიდ საოკეანო გემებსაც კი. სტამბულის ხიდს სხვაგვარად ბოსფორის ხიდსაც უწოდებენ, რადგან იგი სწორედ ბოსფორის სრუტეზე მდებარეობს. ხომ ამსიფართვა, მაგრამ ხიდი უკვე ვეღარ აუღის ტრანსპორტის მოძალბულ წაკადს, და თურქეთში გადწევიტებს, უახლოვს ნღებში ბოსფორზე მეორე ხიდი ავგონ. ხიდე მანქანებით გაწვლისათვის დაწესებულია ფულადი გადასახადი.

პვირიარ ქწვიპა

თვთი გავრილას მეგობრულად ეკობრება ცელქე წვიმა: — ამ საიდრო ღრუბლის ქულამ გული ხომ არ დაგამწიმა? — კი... ხელს მიწლის, რადგან მწათობს ველარ ვხედავ ფერდობსწვეთი, მაგრამ მინეც აღარ ვდარდობ, ამ ღრუბელს ხომ შენ მოკვეცი.



სახლს აგებდნენ ცხოველები, არ აცდენდნენ კვირა-უქმებს, უცივ ამწე მოეწალით, ჩალა ექნათი ვირაუს უხმეს, დატრიალად მეგობარი, აწმუთა შეიფერია, გმო-ტრუში რწმის ირკვლევი: — ვაშა! ვაშა! გრძელკისრეგ!



ქალაქ-ქალა, ტვე-ტვე, მთა-მთა მწმმ სხვეები უხევა ფანტა... მერე გასწინ ღრუბლის ფანტა... და მიწაზე აღმობაძნდა... ვისთან არის სტუმრად ნეგა? თავის ლამაზ სხნინეთთან მწკეპლსთან, მწვეპაუსთან, მწვეინართან, აამწესთან, მწვიონსთან, მწხოსვართან, მწხოსთან და მამწესთან... და ჩვენს მწვიორ სკწაროდელს სამასოდ რთვენ ერთად.

თამაშობ თუ სკოლაში მერხს უზიხარ, გძინავს თუ კითხულობ, შენი სხეულის სამწარეულოში განუწყვეტლივ მზადდება საკვები, რომელიც ორგანიზმის უჭრედებს სჭირდება.

წარმოიდგინე ასეთი რამი სკოლიდან მოშინებული დაბრუნდი. დედა კი საქმლის ნაცვლად დაკვილ უმ ხორცს და მოუხარშავ კარტოფილს გთავაზობს. შენ, რასაკვირველია, არ შევამ, და სთხოვ, როგორც უკველთვის, კატლიტი ან კარტოფილი შეგეწვას. ასევე განსაკუთრებულად მომზადებული საკვები სჭირდება შენს ორგანიზმს, რომ სიცოცხლისათვის აუცილებელი ნივთიერებები მიაწოდოს სისხლს. ამ საქმის ეწვეიან საქმლის მომწოდებელი ორგანოები. ადამიანის შიდა სამწარეულო პირის ღრუდან იწყება. საკმარისია გემრიელი საკვემელი დაინახო ან გემრიელი სუნი გეცეს, რომ ნერწყვი მოგადგება — იგი ღლყის სანერწყვეტი ჩირკვლებმა გამოყო, რომ პირში მოხვედრილი საკვემელი კბილების დახმარებით დაარბილოს. უამისოდ დეცვა ძალიან გამწმელდებოდა. რბილ ფაფად ქცეული საკვემელი სახუაბავი მილით კუჭში ხვდება. კუჭი ადამიანის შიდა სამწარეულოს მთავარი განყოფილებაა. მის კუნთოვან კედლებზე მოთავსებული განსაკუთრებული ჩირკვლები მთავე წვეინებს გამოყოფილ საკმლის დასაშეღლად. ხედავ, რა საოცრად არის მოწყობილი ყველაფერი? აი რატომ გიჩნდება ჭამის

შენი მოსვენების



სურვილი ანუ მადა. რაც უფრო მიმწმედელად გამოიყოფება ან, რაც უფრო სურნელოვანია საკვემელი, მით უფრო მეტი ნერწყვა და კუჭის წვეინი გამოიყოფა. თუ საკვემელი გემრიელია, მისი მოწმელება სწრაფად ხდება და ორგანიზმისთვისაც უფრო სასარგებლოა. აი, რატომ ზრუნავს დედა შენი, ვარდისფრად შებრაწული კარტოფილი ან ლამაზად შეწითლებული შემწვარი წიწილა მოგართვას — შენ ოღონდ ლამაზად ჭამე! გახსოვდეს, ყველაზე კარგი მადა ამ ბავშვებს აქვთ, ვინც ბევრი ირბინა ანდა პაერზე წამოშავა. რამდენიც არ უნდა ჭამონ მცონარებმა და ძილისგულებმა,

მხოლოდ სიმსუქნეში მატულობენ, ფიკურად კი სუსტები და მოღუნებულები არიან.

კუჭი კეთილსინდისიერად და აუჩქარებლად მუშაობს. შანჯარს და ხილს ადვილად ამუშავებს, ხორცის გადამუშავებას კი მეტი დრო სჭირდება. დედა ალბათ ხშირად გეუბნება ჭამის დროს, — კარგად დაღევე, მოწმედილ ღლყმებს ნუ ყლაპავო! იცი რატომ? იმიტომ, რომ კუჭს სამუშაო არ გაუტოლო — კბილებისა და ნერწყვის საქმეც მას არ აკეთებინო!

გახსოვდეს, არც უსახლგრო ჭამა ვარკა. როცა უანგარიშოდ იყრი პირში ძებებს, ღვეწებს, კამფეტებს, მურაბას, იცი, ამ დროს კუჭში რა განავანია? ჩქარობენ კუჭის ჩირკვლები, მაგრამ მიანცვერ ასწრებენ ამდენი საკვების გადამამუშავებლად საკმარისი წვეინის გამოყოფას. საკვემელი კუჭში გროვდება და აშლილობას იწვევს. ენაზე თეთრი ნადები გადაგეფარება, ყველაფერი უგემური გეჩვენება. ასეთი უპაციციემლობით გამწყრალი კუჭი ყველაფერს უკან გიგზავნის, რაც ღორმუცელობით ჩააყარე. გულს გზიდავს. მეტი შრომისა და დამძახვისაგან დაილაღნენ შენი შიდა მწარეულები. საშველად ექიმი გვირდება. ის დეიტას გინიშნავს. დეიტა მსუბუქი საკვემლია: — ჩაი, ორცხობილა, ბრინჯის ნახარში, კისელი... ისევე ნორმალა რომ ჩავიდგეს ყველაფერი, მწვარი აბების გადამამუშავე მოგაქვებს. რას იზამ, ზომიერება ყველაფერში სჭირაო.

თარგმან. ე. ბორბაქაძე.



მაიმური ქოკო



ზანაზანი რაბირი

კოკო პატარა აფრიკელი შიმპანზე იყო. მას ექიმის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ერთ დღეს ლომი ბრუტუსი მივიდა ექიმ მაიმუნთან.

— კბილი მტკივა, — უთხრა მაიმუნს, — მიშველეთ რამე, გვედრებით.

— მაგის დარდი გაქვთ? — ორ წუთში მოგარჩენთ.

კოკომ გაზი აიღო და ლომს უთხრა:

— აბა, თქვენო უდიდებულესობავ, მარჯვენა თათი მომანოდეთ და ზევით აიხედეთ.

ბრუტუსმა ზემოთ აიხედა და ექიმის თათი გაუწოდა. საშინელი ბრჭყალები ჰქონდა. კოკო გაზით ჩაეჭიდა ერთ ბრჭყალს და ამოაძრო. ბრუტუსმა დაიდრიალა. კოკომ გაქცევით უშველა თავს და ქოქოსის ხეზე შეხტა. ლომმა მუშტი მოუღერა:

— დაცა, გასწავლი ჭკუას, წყულო!

— კბილი ხომ აღარ გტკი-

ვათ! — სიცილით ჩამოსძაბა კოკომ.

მეორე დღეს კოკოსთან გარეული თხა მივიდა.

— ისე მტკივა მუცელი, რომ ძილი აღარ მაქვს და მისვენება. რა მომარჩენ, ექიმო?

შიმპანზემ თხას უპასუხა:

— ორჯერ მიახეთქე თავი ამ ქოქოსის ხეს, მუცლის ტკივილიც გაგივლის და კარგადაც დაგეძინება.

თხა ისეთი ძალით დაეძგერა ქოქოსის ხეს, რომ მთელი კაკალი ძირს ჩამოიბერტყა. კოკომ თხას უთხრა:



— ახლა უკვე ჯანმრთელი ხარ და ტკბილადაც დაგეძინება.

თხა წავიდა, ეშმაკმა მაიმუნმა კი გემრიელი ხილის შეგროვება დაიწყო.

ძალიან ცხელიდა. კოკოს წყალი მოსწყურდა. ჭა დაინახა და იქით გასწია. მივიდა ჭასთან, მაგრამ წყლის ამოდება ვერაფრით ვერ მოახერხა. სწორედ ამ დროს ბეჭემოტი მოვიდა ექიმ მაიმუნთან რჩევის საკითხავად. — წელი მაქვს გაკავებული, — უთხრა ბეჭემოტმა, — მიშველეთ რამე, ექიმო.

— წუთში მოგარჩენ, — უთხრა მაიმუნმა. — აი, ამ ჭაში ჩადი და ცივი წყალი უტებად გიშველის.

ბეჭემოტი ჭაში ჩავიდა. წყალმა აინია და ნაპირებიდან გადმოვიდა. კოკომ წყურვილიც მოიკლა და მზით გახურებული სხეულიც გაიგრილა.

ამასობაში ჩვენს მაიმუნს კიდევ მოჰვიდა. რაც ქოქოსის კაკალები ჰქონდა, ადრე-

კაკალები სხ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა № 1



ბი, — დაამშვიდა კოკომი.
— განა ასეთი რა წამა-
ლია? — ყური ცქვიტა ნი-
ანგმა.

— თუ ამ ქოქოსის კაკ-
ლებს სათითაოდ დაამტვრევ,
შენი ავადმყოფობაც გაქ-
რება.

ნიანგი კაკლების მტვრე-
ვას შეუდგა და ამ საქმეში
სამი კბილი დაკარგა.

მეორე დღეს კოკოსთან
სპილო მივიდა და სთხოვა,
სურდოსაგან განეკურნა იგი.

— მაგას რა უნდა, — უთ-
ხრა კოკომ, — მზეს მიეფიც-
ხე და მზის ჩასვლამდე არ
გაინძრე.

სპილო მეტად თვინიერი
ცხოველია. ისე მოიქცა, რო-
გორც შიმპანზემ დაარიგა.
კოკომ კი მის ფეხებთან მოი-
კალათა და დიდხანს ნებივ-
რობდა ჩრდილში. სპილოს
მზემ დაჰკრა. საცოდავი მი-
ხვდა, რომ გააბრიყვეს შიმ-
პანზეს ხორთუმი შემოხვია,
ზევით აიტაცა და ძირს დაა-
ბურტყა. კოკომ ორი კბილი
და საამი სახსარი მოიმ-
ტვრია.

ასლა ჩვენი მაიმუნი ავა-
დაა და ერთი ბებერი კბა-
ტულის. მოხერხებული ექიმი
ძალზე ბედნიერი, რომ ასე-
თი წყნარი და ერთგული მო-
მეღული იშოვნა.

ფრანგულიდან თარგმნა
ვლადიმერ ზარიძემ



ვე შემოეცამა. ამ დროს თვა-
ლი მოჰკრა ყირაფს, რომელ-
საც პირით უზარმაზარი ქო-
ქოსის კაკალი მოჰქონდა.
„როგორმე უნდა ხელში ჩა-
ვიგდო ეს კაკალი“, — გაი-
ფიქრა მაიმუნმა. აქ ყვავისა
და მელიის იგავი გაახსენდა,
ყირაფისკენ გაეშურა და ხო-
ტბის შესხმა დაუწყო. თურ-
მე ნუ იტყვიოთ, ყირაფსაც
ახსოვდა ეს იგავი და დამცი-
ნავად გადმოხვდა მაიმუნს.
კოკო არ დაბნეულა, ყირაფს
შემოურბინა, კუდში ჩაეჭი-

და და მთელი ძალით მოქა-
ჩა. ყირაფმა იყვირა და კა-
კალი პირიდან გაუფარდა.
კოკომ კი გემრიელად ისა-
დილო იმ კაკლით.

ერთ მშვენიერ დღეს კო-
კომ უამრავი ქოქოსის კაკა-
ლი შეაგროვა, მაგრამ კაკ-
ლები კერკეტი აღმოჩნდა,
ვერაფრთი ვერ დაამტვრია.
ამ დროს მასთან ერთი უზ-
არმაზარი ნიანგი მივიდა, —
ავად ვარო, — შესჩივლა.

— იმისთანა წამალი გას-
წავლო, წამსვე განიკურნე-

საპატრთველოს
ალკა ცა.ისა
და ვ. ი. ლინინის
სახელშეღობის
პრონარტია
ორბანიზაციის
რეპაზულიატი
საბჭოს
შურნალი
შეცდომისა
შეცდომისა

გამოდის
1928 წლიდან
საქ. კ. ცკ.ის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии

ყდაზე ნახათ სოფიო კინწურაშვილისა

შთავარი რედაქტორი მანარ ნიშარაძე

სარედაქციო კოლეგია: ალუარდ აგვთაძე, ილია ანთელაშვილი, აკაკი გომიზაშვილი, სოლომონ
დემურაშვილი, ლილა პრაპო, მანანა კომახიძე, ზარა ლეჟაშვილი (პ. მდინე), გულ-
ლოსაბერიძე, მამალა შარვალიაშვილი, ჯარა ნაღობაძე, გიორგი გომიზაშვილი (სამხატვრო რე-
დაქტორი), მანანა ხაჩიძე, გივი ზიზინაძე.

ტექნიკური რედაქტორი ენი წირეთელი

შისაწარმო: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: შთ. რედაქტორის —
93-41-30, 93-98-15; პ/მ მდინის — 93-10-32, 93-98-18; სახ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ.
93-98-19; 93-98-17.

გადაეცა ასაწეობად 5/III 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/IV 83 წ., ქალაქის ზომა 6×9 1/16 ფტ.
ნაბ. ფურც. 2,5, ტრაჟი 166.200. შეკვ № 665. «Dila» № 5, журнал для младшеклассников
на грузинском языке. Главный редактор Э. Нижарадзе. Тбилиси, Ленина, 14. Ц. 20 к.



გამოცანები

ენა არა მაქვს და მიინც
ყოველთვის გესაუბრები,
ხე არ ვარ ტოტებაწველილი,
მაგრამ მასხია ფურცლები.

მე აქამდე ამ ფრინველის
არ ვიყავი მნახველი,
იფნის ტოტზე შემომჯდარმა.
თავად მამცნო სახელი.

შოთა ამირანაშვილი

გამოცანა


გოგოს სახელი დამარქვეს,
ოღვან კარგი ვარ ხილდა,
ისეთ ადგილას ვიზრდები,
კაცი ფებს დაღვამს ძვირდა.
სამურაბედაც ვვარგევარ,
მაგრამ არასდროს ჩიოდა.
ულაბურ ტყეში გივლია?
იქა მნახველი ხშირდა!

სიმგო ხაჯავა

ამოცანა


ბლის კუნწულა მქონდა
ხუთი ცალი. ჰოდა,
თითო კუნწულაზე
ესხა სამი ბალი.
მზიას, გიას, გელას
დაეურიგე ყველას—
სულ ორ-ორი ცალი,
მე რამდენი დამრჩა.
მაშ გამოიცანი!

უზანგ სახლთხუციშვილი



ფანქრის მოუსილვლად

დახაზე ასეთი ფიგურა იხე, რომ
ფანქარი ქალაღს არ მოაცილო
და ერთი ხაზი ორჯერ არ გადა-
კვეთო.



ფოტოგამოცანა


ქვედა სურათზე
მეოთხე მამაკაცის
თავია გამოსახუ-
ლი. როგორ მიხე-
დიო? როგორ და,
ყურებს უკან სათ-
ვალის ყურსაცმე-
ლები მოჩანს.

ქარსვორდი

1. იახამანი; 2. ღუმფარა; 3. მატიტლა; 4. მიხაიკი; 5. ია; 6. პიონა; 7. სოსანა; 8. უყუაჩო; 9. ზამბახი; 10. ნარგიზი; 11. შრო- შანი; 12. გვირილა; 13. უბო; 14. იელი; 15. ღიღილი; 16. ვარდი; 17. სვია; 18. ენძელა; 19. გიორ- გინი.

თუ უვავილთა ამ სახელებს
შვეულ უჯრედებში ჩახვამ, რკო-
ლებში წიკითხვ: სულხან საბა
ორბელიანი.

წებოიან ან საღებავიან ტუბოს
ხანდახან ხუფი იხე დაქვევდება
ხოლმე, რომ მოხსნა შეუძლებე-
ლია. ტუბოს თავში ნახვრეტი
გაუკეთე, შიგ მავთული ჩაამაგრე,
მავთულს თავი მოუგრხე. როცა
წებო ან საღებავი დაგჭირდება,
მავთული ამოაძრე, ტუბს თითე-
ბი მოუჭირე და სითხე იოლად
იპოვნის გზას.





ბავშვებო, ყურადღებით გააფერადეთ ეს ნახატი ნომრების მიხედვით და მიიღებთ ერთ-ერთი ქართული ზღაპრის ფერად სურათს.

შხატვარი იმუშარდ ამზრკამძე

- 1—მწვანე.
- 2—უვითყლი.
- 3—იისფერი.
- 4—ნარინჯისფერი.
- 5—წითელი.
- 6—უავისფერი.
- 7—შავი.
- 8—ღურჯი.